



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

20 მაისი 2024



N 21/5004

შპს განახლებადი ენერჯის რეგიონალურ კომპანიას
მის: თბილისი, სამგორის რაიონი, მოსკოვის გამზირი,
V კვარტალი, კორპუსი N7, ბინა N36
ელ. ფოსტა: g.gogava@yahoo.com

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2024 წლის 21 თებერვალს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N1878 განცხადება, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჯეჯორაზე შპს „განახლებადი ენერჯის რეგიონალური კომპანიის“ 15,23 მგვტ. სიმძლავრის „სორგითი 1“ და 15,56 მგვტ. სიმძლავრის „სორგითი 2“ ჰესების კასკადისა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურების მშენებლობისა და ექსპლუატაციის გზშ-ის ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული ჩატარებული იქთიოლოგიური კვლევების რუკა. როგორც ანგარიშიდან დგინდება კვლევები რიგ შენაკადებში წარმოებულია კვლევისათვის არახელსაყრელ პირობებში (სიმღვრივის დროს), რამაც ვერ უზრუნველყო ეფექტური ჭერისა და შეფასების საშუალება. კვლევების შედეგებით არ არის შეფასებული თევზის რაოდენობრივი მაჩვენებლები მდინარეში, რაც არ იძლევა საშუალებას დადგინდეს ამჟამინდელი ფონური მდგომარეობა და შემდგომში სრულფასოვნად შეფასდეს იქთიოფაუნის რაოდენობრივი ცვლილების დინამიკა, შესაბამისად აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;
- იქთიოლოგიურ კვლევაში მოცემულია რომ მოპოვებული იქნა რიონის ხრამული *Capoeta svanetica*. აღნიშნული სახეობის თევზის არსებობა დღეისათვის არ არის დადასტურებული გენეტიკურად და არ არის აღიარებული საერთაშორისო და ადგილობრივი იქთიოლოგების მიერ. ის არ არის წარმოდგენილი არცერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ვებგვერდზე. მაღალი ალბათობით აღნიშნულ სახეობას წარმოადგენს მცირეაზიური (ბანარესკის) ხრამული *Capoeta banarescui* Turan, Kottelat, Ekmekçi & Imamoglu, 2006, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სათავე ნაგებობის კვეთში მდ. ჯეჯორას საშუალო წლიური ხარჯების დასადგენად, ანალოგად გამოყენებულია ამავე მდინარის ჰ/ს პიპილეთის მონაცემების მხოლოდ ნაწილი - 1986 წლის ჩათვლით. წარმოდგენილი უნდა იყოს 1986 წლის შემდგომი პერიოდის (1987-1994 წწ) ჰიდროლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით შესრულებული გაანგარიშება;
- წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ძალური კვანძების უბნებზე წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას დამყარებული დონეებისა და კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმის შესახებ;
- წარმოდგენილი იყოს გეოდინამიკური პროცესების მონიტორინგის საკითხები, რომლის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მდ. ჯეჯორას მარცხენა

ფერდობზე, სოფ. სომიწოს ტერიტორიაზე არსებულ, დიდი ფართობიანი გავრცელების (200 ჰექტრამდე), მძლავრ, ტექტო-სეისმოგენურ მეწყერულ სხეულზე. მიუხედავად იმისა რომ, „სორგითი 2“ ჰესის სადაწნეო მილსადენს აღნიშნულ მეწყერთან უშუალო შეხება არ აქვს და იგი მდ. ჯეჯორას დინების ამ მონაკვეთზე გადის მარჯვენა ფერდობის ძირის გასწვრივ, აღსანიშნავია შემდეგი გარემოება, კერძოდ: სომიწოს მეწყრის ექსტრემალური გააქტიურების შემთხვევაში, მაღალი ალბათობით მოსალოდნელია მდ. ჯეჯორას კალაპოტის დროებით ჩახერგვა და წყლის ნაკადის შეგუბება. აღნიშნული საფრთხე გათვალისწინებული უნდა იქნას „სორგითი 2“ ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების უსაფრთხო ფუნქციონირებისთვის. შესაბამისად საჭიროა შეფასდეს სომიწოს მეწყრის არსებული დინამიკური მდგომარეობა და მოსალოდნელი საშიშროების რისკი ჰესის ინფრასტრუქტურულ ობიექტებთან მიმართებაში;

- გზმ-ის ანგარიშის გეოლოგიური გარემოს აღწერის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ „პირველი ჯგუფის მეწყრები: ამ ეტაპზე ისინი სტაბილურ ფაზაში არიან გადასული და ნაგებობის მდგრადობისთვის საშიშროებას არ წარმოადგენენ, რადგან მეწყერული სხეულის კონტური სრულად განტვირთულია მეწყერული მასებისგან; მეორე ჯგუფის მეწყრები - აღნიშნული მეწყერული პროცესები სუსტ დინამიკაშია, ან მეწყერული მასები სრულად ჩამოსულია ენური ნაწილის ზონაში, ხოლო მეწყრის სრიალის სიბრტყეზე შიშვლდებიან ძირითადი კლდოვანი ქანები. ამ ტიპის მეწყრები ნაგებობის მდგრადობისთვის საშიშროებას არ წარმოადგენენ.“ ასევე აღნიშნულია, რომ „სადერივაციო მილსადენების დერეფნის ფარგლებში არსებული მეწყერული სხეულები ნაგებობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ, რადგან აქტიური პროცესები მათ კონტურში აღარ ფიქსირდება“. ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებები (საყრდენი კედლები, ფერდობების დატერასება და სხვ.) გეოლოგიურ ნაწილში მოცემულ ზემოაღნიშნულ დასკვნებს არ შეესაბამება და დასაზუსტებელია. შესაბამისად უნდა შეფასდეს კონკრეტული რისკები და კონკრეტული მეწყერული სხეულებისთვის შემუშავდეს სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები;
- გზმ-ის ანგარიშში არ არის განსაზღვრული ნაგებობების კაპიტალობის კლასი;
- გზმ-ის ანგარიშში (გვ.34 და გვ.69) მითითებულია, რომ სათავე ნაგებობები გაანგარიშებულია 75 წლიანი განმეორებადობის ხარჯზე, რასაც შეესაბამება 1,3%-იანი უზრუნველყოფა. ვინაიდან აღნიშნული სიდიდე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმებით 3%-იანი (ძირითადი) და 0.5%-იანი (სამოწმებელი) ხარჯების ტოლია, მითითებული უნდა იყოს ზემოაღნიშნული მნიშვნელობა რომელი ნორმატიული დოკუმენტაციის საფუძველზეა მიღებული. ამავე გვერდზე აღნიშნულია, რომ სათავე ნაგებობების მშენებლობა უნდა განხორციელდეს მდინარეში წყალმცირობის დროს, და არა 3%-იანი უზრუნველყოფის ხარჯებზე გაანგარიშებული წყალარინების ნაგებობებით. საქართველოში მოქმედი ნორმატივების თანახმად ჰიდროტექნიკური ნაგებობების სამშენებლო პერიოდის წყალსარინი ნაგებობები გაანგარიშებული უნდა იყოს 10%-იანი უზრუნველყოფის ხარჯზე, რაც ასევე საჭიროებს დაზუსტებას;
- არ არის მოცემული თევზსავალების ჰიდრავლიკური გაანგარიშებები და/ან შედეგები: წყლის ნაკადის სიჩქარე, ენერჯის გაფანტვის სიდიდე და სხვა;
- მიზანშეწონილია ეკოლოგიური ხარჯის გატარება განხორციელდეს სათავე ნაგებობებში (წყალმიმღები, სალექარი) დატოვებული სპეციალური მილით ან ღიობით, წყლის ზედაპირული ფენებიდან, და არა ნატანით გაჯერებული ნაკადისა, ფსკერული გამრეცხის ფარგლებში, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზმ-ის ანგარიშში გაუგებარია, როგორ ხორციელდება გისოსებზე დაგროვილი ნაგავის მოცილება სამუშაო ზონიდან და მისი გატანა, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- ანგარიშში არ არის მოცემული სათავე ნაგებობების მშენებლობის სქემა (სამშენებლო ხარჯების გატარების ეტაპობრიობა) სათანადო ჭრილებით და დონეებით, ასევე არ არის მოცემული მილსადენის გრძივი ჭრილები, ხოლო 5614 და 7278 სიგრძის მილსადენებისათვის მხოლოდ 4-4 განივი კვეთების წარმოდგენა არასაკმარისია;

- მილსადენების ტექნიკური პარამეტრებისა და ტურბინის ტიპიდან გამომდინარე, მილსადენებზე უნდა მოეწყოს გამთანაბრებელი რეზერვუარი ან უქმი წყალგამშვებები (ტურბინულ ნაწილში), რასთან დაკავშირებითაც გზმ-ის ანგარიშში ინფორმაცია მოცემული არ არის;
- გზმ-ის ანგარიშში არ არის მოცემული ჰიდრავლიკური დარტყმის საანგარიშო სიდიდე და მილსადენის კედლის სისქეები, ამასთან გაურკვეველია, გათვალისწინებულია თუ არა მილსადენზე ნორმატივებით გათვალისწინებული საინსპექციო საძრომებისა და ანტიკოროზიული საფარის მოწყობა;
- წარმოდგენილი უნდა იყოს სათავე ნაგებობების და ჰესის შენობების გასწორებში წყლის ხარჯებისა და სიღრმეების დამოკიდებულების მრუდები, ასევე მდინარის კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმის გაანგარიშებები სათავე ნაგებობების, მილსადენის ცალკეული უბნების და გამყვანი არხის მახასიათებელ, აგრეთვე გვერდითი შენაკადების მილსადენით გადაკვეთის გასწორებში;
- ფაუნის წარმომადგენელთა დაზიანების შემცირების მიზნით, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ღია წყლის ზედაპირის (სალექარი) შემოღობვის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ;
- გზმ-ის ანგარიშში არ არის მოცემული სატურბინე ზეთების წყალში ავარიული ჩაღვრის პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობების შესახებ ინფორმაცია;
- მონაცემების გადამოწმებით დგინდება, რომ სანაყაროების განთავსება დაგეგმილია მდ. ჯეჯორას წყალდაცვით ზოლში, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ;
- ზდრ-ის პროექტში ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დადგენის მიზნით, N1 ჩაშვების წერტილისთვის მოცემული შერევის ჰიდრავლიკური ფაქტორების კოეფიციენტი არასწორად არის მითითებული და საჭიროებს შესწორებას;
- მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურის შემადგენელი ობიექტების ნაწილი მოიცავს კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების ინფორმირების/კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია;
- გზმ-ის ანგარიშში (გვ.50 და გვ.86) აღნიშნულია, რომ სალექარში შესაძლებელია საანგარიშოზე (13.59, 18.5 მ3/წმ) 20-24 მ3/წმ-ით (1.3-1.7-ჯერ) მეტი ხარჯის გატარება. აღნიშნული რედაქციულ ან შინაარსობრივ უზუსტობას წარმოადგენს და საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- გზმ-ის ანგარიშში (გვ.42 და გვ.78) ჰიდრავლიკური გაანგარიშებების ცხრილზე: „სალექარის“ ნაცვლად მოცემული უნდა იყოს „ჩამქრობი ჭა“;
- სორგითი 1 ჰესის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშში (დანართი 2) გეომორფოლოგიურ (გვ. 11) და ჰიდროგეოლოგიურ (გვ. 27) რუკებს აკლია პირობითი ნიშნები. ხოლო, გეოლოგიურ რუკას (გვ. 15) აკლია ინფორმაცია ავტორების და წლის შესახებ.

გთხოვთ, 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

